საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავდიდიანი

თავდიდიანი, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, დმანისის ხეობაში, ბალიჭის ხევის - მარცხ. მხარეს. სახელწოდება აზნაურ თავდიდიშვილებს უნდა უკავშირდებოდეს. XVII ს-ში თ. სადედოფლო სოფელი იყო. 1792 თ. ფეოდალ ზურაბიშვილების მფლობელობაში იყო. გვიანდ. შუა საუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით თ. ქართლის სამეფოს I, ანუ „მეწინავე" სადროშოს, შემადგენლობაში შედიოდა.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, ნაწ. 3–4, თბ., 1938.

ზ. ცინცაძე